საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-10/81

ქ. ბათუმი 04 ივნისი, **2019** წ.

2019 წლის ივნისში ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად დამტკიცებული საპროცედურო/საკონკურსო კომისიებისა და სამუშაო (საკონსულტაციო) ჯგუფის წევრების შრომის ანაზღაურების (დანამატის) განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ბსუ–ს წესდების მე–15 მუხლის, ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №13 გადაწყვეტილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთავლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 03 მაისის N01-02/62 ბრძანების, „2019 წლის ივნისში ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 30 მაისის N01-02/77 ბრძანებისა და „ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ჯემალ ანანიძის ქალაქ თბილისში მივლინების შესახებ " ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 03 ივნისის №01-14/215 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2019 წლის ივნისში ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად დამტკიცებული საპროცედურო/საკონკურსო კომისიებისა და სამუშაო (საკონსულტაციო) ჯგუფის წევრების შრომის ანაზღაურება (დანამატი) განისაზღვროს თითოეული წევრისათვის 350 ლარის ოდენობით.

2. ეთხოვოს საპროცედურო/საკონკურსო კომისიებისა და სამუშაო (საკონსულტაციო) ჯგუფის ხელმძღვანელს, შესაბამისი კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ სამსახურებრივი ბარათების წარმოდგენა, შრომის ანაზღაურების (ბსუ-ს პერსონალისათვის დანამატის) გაცემის მიზნით.

3. წინამდებარე ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურულ ერთეულებს და კომისიისა და სამუშაო ჯგუფის წევრებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ გურამ გვარიშვილი